№ 133 მთავრობის მოამბე

საქართველოს რესპუბლიკა

უოველდღიური გაზეთი

წელიწადი მესამე

ფასი 3 მან. ხუთშაბათი, ივნისის 17 1920 წ.

მთავრობის მოამბე, უოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 8 მან. 4-ხე გვ. 6 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 150 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 110 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 40 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20%. რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

ქართულ სააქციო საზოგადოების „ოქროს-ვერძის“ გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ნებართვით 1920 წ. ივნისის 11 ს, № 1667, კვირას 1920 წლ. ივნ. 20-ს, დილის 11 საათზე, ქ. ფოთში, საზოგადოების განყოფილების ბინაზე (ლიალინსკის და მიხეილის ქ. კუთხე) დანიშნულია

საზოგადოების აქციონერთა საგანგებო საზოგადო კრება

შემდეგი საკითხების განსახილველათ:

1. წარსულ საოპერაციო წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება.
2. დივიდენდის განაწილება.
3. საზოგადოების საქმის წარმოების დაყენება.

ამასთანავე გამგეობა აცხადებს, რომ კრებაზე დასწრებისა და ხმის უფლება ექნებათ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებიც წარმოადგენენ თავის აქციებს გამგეობაში ქ. ტფილისში, ან მის განყოფილებაში ქ. ფოთში ამა წლის ივნისის 18-მდე და კრების გათავებამდე უკან არ წაიღებენ. აქციების მაგიერ შეიძლება წარმოდგენილი იქნეს კვიტანციები ბანკების, სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა (ქალაქის და ერობის გამგეობისა). ამ კვიტანციებში ნაჩვენები უნდა იყოს აქციების რაოდენობა, ნომრები და ღირებულება.

1453 3—3

24 თიბათვეს ა. წ. დილის 10 საათზე ქ. სიღნაღში ახალ კლუბის დარბაზში დანიშნულია ჩვეულებრივი

წლიური საზოგადო კრება

სიღნაღის მაზრის კოოპერატივთა კავშირისა. თუ დანიშნულ ღღეს წარმომადგენელთა საკმაო რიცხვი არ დაესწრო, მეორე კრება მოხდება 5 მკათათვეს 1920 წ. განსახილველია შემდეგი საკითხები:

1. მოხსენება 1919 წ. მოქმედების შესახებ.
2. მოგების განაწილება.
3. სასურსათო ოპერაციები
4. წარმოება.
5. ნდობის გახსნა კავშირისათვის.
6. რწმუნებულების ამორჩევა ცენტ. კოოპერატიულ კავშირის წლიურ კრებაზე დასასწრებლად.
7. ხარჯთ-აღრიცხვა 1920 წ.
8. მიმდინარე საკითხები.
9. არჩევნები გამგეობის ერთი წევრისა და საბჭოს ორი წევრის.

1487 **გამგეობა**

ყველა იმ პირთ, რომლებთაც წარმოდგენილი აქვთ თხოვნები

სოციალურ დახმარებისათვის

უსათუოდ უნდა წარმოადგინონ მოწმობა სიღარიბისა და ნამსახურობის შესახებ.

შრომის სამინისტრო

ოფიციალური განყოფილება

გრძანება

ქ. ტფილისის კომენდანტისა.

12 ივნისი, 1920 წ., № 6.

1.

ქ. ტფ. ჩამოსულნი ჯარის ნაწილების ოფიცრები და მოხელეები ყველანი არ ცხადდებიან საკომენდანტო სამმართველოში და არ არდგენენ თავის საბუთებს. უკანასკნელად ვიძლევი გაფრთხილებას, რომ ასეთის სამხედრო პირების წინაღმდეგ მიღებული იქნება უსასტიკესი ზომები.

2.

ვამჩნევ, რომ ზოგიერთი რესტორანების და მაგარი სასმელების სარდაფების პატრონები ძლიერ ხელს უწყობენ ჯარის კაცების ლოთობას და, ამიტომ ვაფრთხილებ ყოველივე მაგარი სასმელებით მოვაჭრეებს, რომ ასეთი პირების წინაღმდეგ მიღებული იქნება უკიდურესი ზომები სათანადო დაწესებულებების საშუალებით.

3.

ჯარის ნაწილები, მისცემენ რა მივლინებაში ან ჯარის ნაწილებიდან შვებულებაში მყოფთ დაწესებულ საბუთებს, ვალდებულნი არიან აღნიშნონ, მათში რა ვადით არიან ისინი მივლინებაში ან შვებულებაში, წინაღმდეგ შემთხვევაში ასეთი საბუთების არ მქონებელნი უკან დაბრუნებულნი იქნებიან თავის ნაწილში.

ქ. ტფილისის კომენდანტი, გენერალი **მიქაშავიძე.**

კომენდანტის ადიუტანტი კაპიტანი **ძიძიგური.**

განკარგულებანი

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისა.

12 ივნისი, 1920 წ., № 191.

გაუგრძელდეს: შვებულება სამინისტროს კანცელარიის საქმის მწარმოებელს იოსებ დავითის ძე მებურიშვილს ამა 1920 წლის 11 ივნისიდგან 1 მკათათვემდე.

15 ივნისი, 1920 წ. № 192.

დათხოვნილ იქმნას: სრულიად სამსახურიდან თანახმად თავის თხოვნისა სახელმწიფო ქალალდების დამზადებელ ექსპედიციის მთვლელი მარიამ მიხეილის ასული ზაალიშვილი ამა წლის 8 ივნისიდგან.

15 ივნისი, 1920 წ., № 193.

განთავისუფლებულ იქმნეს: დროებით ერთის თვის ვადით მინისტრის საბჭოს საქმის მწარმოებელი ნიკოლოზ სვიმონის ძე ჯურდღელაშვილი ამა წლის ივნისის 16-დან.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი **ს. ავალიანი.**

იუსტიციის დეპარტამენტის დირექტორისა.

7 ივნისი, 1920 წ., № 174.

თანახმად რესპუბლიკის მთავრობის ამა წლის აპრილის 8-ს დადგენილებისა დაინიშნოს ტფილისის სასამართლო პალატის სამოსამართლო თანამდებობათა უმცროს კანდიდატად ალექსანდრე ალექსანდრეს ძე თაყაიშვილი ამა წლის ივნისის 7-დან იმ პირობით, რომ მას ევალება ½ წლის განმავლობაში ჩააბაროს სათანადო გამომცდა გამომცდელ კომისიაში.

დეპარტამენტის დირექტორი **გ. ეორდანია.**

მიწათ-მოქმედების მინისტრისა.

15 მაისი, 1920 წ., № 155.

დათხოვნილია: ყარაიაზის მოსარწყავ სისტემის გამგე ს. ს. კასრაძე ამა წლის 9 აპრილიდან.

18 მაისი, 1920 წ., № 156.

დათხოვნილია: სახელმწიფო მამულთა სექციის საქმის-მწარმოებლის თანამდებობის აღმასრულებელი მარინე ნანუკაშვილისა ამა წლის მაისის 12-დან, მისი თხოვნის თანახმად.

დანიშნულია: სახელმწიფო მამულთა სექციის საქმის-მწარმოებლის თანამდებობის აღმასრულებლად ივანე ჯაფარიძე ამა წლის მაისის 12-დან.

18 მაისი, 1920 წ. № 157.

დათხოვნილია თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან: სენაკის სამაზრო სამიჯნაო განყოფილების საქმის-მწარმოებელი კანდელაკი, თანახმად თხოვნისა ამა წლის 1 მაისიდან.

21 მაისი, 1920 წ. № 158.

ინიშნება: სამინისტროს შინამრეწველობის განყოფილების საფეიქრო ინსტრუქტორი ანნა ზაქარიას ასული მარქარიანი 1 რიგის ინსტრუქტორად ამა წლის 1 მაისიდან.

24 მაისი, 1920 წ., № 159.

ინიშნება: გადასახლების განყოფილების საქმის-მწარმოებლად ვასილ იროდიონის ძე რცხილაძე ამა წლის 15 მაისიდან.

27 მაისი, 1920 წ., № 160.

დათხოვნილია თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან: მეორე ხარისხის ტყის გამგის თანაშემწენი კ. დ. ნაცვლიშვილი, ა. ნ. ხვედელიძე, ტ. ბ. სიმონია, თანახმად მათივე თხოვნისა და ხ. ვ. მოსკალენკო სამსახურში გამოუცხადებლობის გამო.

27 მაისი, 1920 წ., № 161.

დანიშნულია: კალისტრატე მაჯაგალაძე მიწათ-მოქმედების სამინისტროს ქიმიურ ლაბორატორიის ლაბორანტად ამა წლის მაისის 13-დან.

27 მაისი, 1920 წ. № 162.

დანიშნულია: ნიკოლოზ ალექსიძე მცხოვრებთათვის აგრონომიულ დახმარების სექციის საქმის - მწარმოებლის თანამდებობის აღმასრულებლად ამა წლის მაისის 10-დან.

25 მაისი, 1920 წ. № 163.

დათხოვნილია თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან: სამინისტროს იურისკონსულტი ივანე ლევანის ძე ჩერქეზიშვილი ამა წლის 13 მაისიდან, თანახმად თხოვნისა.

27 მაისი, 1920 წ. № 164.

ინიშნება: ნატალია მაჩხანელი ფასანაურის საფეიქრო ქარხნის ინსტრუქტორად ა. წ. 1 თებერვლიდან.

29 მაისი, 1920 წ., № 165.

დათხოვნილია თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან: სამინისტროს ბუხჰალტერიის 2 რიგის ბუხჰალტერი ი. ს. ხუციშვილი ამა წლის 1 ივნისიდან თანახმად თხოვნისა.

29 მაისი, 1920 წ., № 166.

ინიშნება: სამინისტროს სამიჯნაო განყოფილებაში მიწის-მზომლის თანაშემწეთ შტატს გარეშე ივანე გენრიხის ძე კილიაკი ამა წლის 20 მაისიდან.

31 მაისი, 1920 წ. № 167.

ინიშნება: სამინისტროს სამიჯნაო განყოფილებაში მიწის-მზომლის თანაშემწეთ შტატს გარეშე ალექსანდრე თედორეს ძე გრეკოვი ამა წლის 20 მაისიდან.

31 მაისი, 1920 წ. № 168.

ინიშნება: სამინისტროს სამიჯნაო განყოფილებაში მიწის-მზომლის თანაშემწეთ შტატს გარეშე სენკო ამა წლის 20 მაისიდან.

31 მაისის, 1920 წ. № 169.

ინიშნება: სამინისტროს სამიჯნაო განყოფილებაში მიწის-მზომლის თანაშემწის თანამდებობაზე შტატს გარეშე მიტროფანე ლუკას ძე ბოტან-ხომიუკი ამა წლის 20 მაისიდან.

31 მაისი, 1920 წ., № 170.

ინიშნება: სამინისტროს სამიჯნაო განყოფილებაში მიწის-მზომლის თანაშემწეთ ივანე იოსების ძე იოსტსონი ამა წლის 20 მაისიდან.

31 მაისი 1920 წ., № 171.

ინიშნება: მიწათ-მოქმედების სამინისტროს სამიჯნაო განყოფილებაში მიწის მზომლათ სერგო ნიკოლოზის ძე შირინი ამა წლის 20 მაისიდან.

31 მაისი, 1920 წ., № 172.

ინიშნება: სამინისტროს სამიჯნაო განყოლებაში მიწის მზომლის თანამდებობაზე შტატს გარეშე არშაკ ივანეს ძე მირაქოვი ამა წლის 13 მაისიდან.

31 მაისი, 1920 წ., № 173.

ინიშნება: სამინისტროს სამიჯნაო განყოფილებაში მიწის მზომლის თანაშემწეთ შტატს გარეშე ბიქტორ მარტის ძე რიკსი ამა წლის 20 მაისიდან.

31 მაისი, 1920 წ. № 174.

ინიშნება: სამინისტროს სამიჯნაო განყოფილებაში მიწის-მზომლის თანაშემწეთ შტატს გარეშე დავით ნიკოლოზის ძე წერეთელი ამა წლის 20 მაისიდან.

31 მაისი, 1920 წ., № 175.

ინიშნება: სამინისტროს სამიჯნაო განყოფილებაში მიწის-მზომლის თანაშემწის თანამდებობაზე ერმალო ნესტორის ძე ნიორაძე 28 აპრილიდან 1920 წ.

1 თიბათვე, 1920 წ. № 176.

ინიშნება: მ. რ. მემარნიშვილი და გ. ნ. ტაბატაძე მეორე ხარისხის ტყის გამგის თანაშემწეთა თანამდებობის აღმასრულებლად.

31 მაისი, 1920 წ., № 177.

დათხოვნილნი არიან თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან: ტყის გამგის თანაშემწენი: ბ. ი. დემეტრაძე, სამსახურში გამოუცხადებლობის გამო და ე. დ. ჭაგნელიძე სამსახურის შეუფერებლობისათვის.

31 მაისი 1920 წ., 178 წ.

თავისუფლება მიეცეს: სოფლის მეურნეობის მავნებელთა წინააღმდეგ მებრძოლ ბიუროს გამგეს ბ. უვაროვს ა. წ. ივნისის 1-დან სექტემბრის 1-დე ჯამაგირის შენახვით.

2 ივნისი 1920 წ., № 179.

დავთრიდან ამორიცხულნი არიან ხიკვდილის გამო: ტყის გამგის თანაშემწენი კ. ხ. წიქვაძე და ვ. ლ. მლაკოსევიჩი პირველი ა. წ. 26 მაისიდან, მეორე კი 4-დან.

ინიშნება: ი. ვ. რიპინსკი მეორე ხარისხის ტყის გამგის თანაშემწეთ.

2 ივნისი, 1920 წ. № 180.

ინიშნება: ტყის გამგის თანაშემწის თანამდებობის აღმსრულებელი ს. ი. მახვილაძე მეორე ხარისხის ტყის გამგეთ, ბაღდადის სატყეოში.

31 მაისი, 1920 წ. № 181.

ინიშნება: საინსპექტორო განყოფილების საქმის მწარმოებლად მელქისედეკ ბესარიონის ძე გელოვანი ამა წლის 22 მაისიდან.

მიწათ-მოქმედების მინისტრი **ნ. ხომერიკი.**

არა ოფიციალური განყოფილება

მთავრობაში

8 ივნისის სხდომა.

სესხი თელავის ერობას.

მიეცეს ავანსად სესხის ანგარიშში თელასამაზრო ერობას 1 მილ. მანეთი.

უძრავი ქონების ჩამორთმევა სამტრედიაში.

დამტკიცდეს სამტრედიის ქალაქის თვითმართველობის დადგენილება, რომელიც ქალ. სამტრედიის სასარგებლოდ ძმ. სიხარულიძეების უძრავ ქონების იძულებით ჩამორთმევას ეხება.

უმცროს მოსამსახურეთა ჯამაგირების გათანასწორება.

დამტკიცდეს შრომის სამინისტროს მოხსენება სახელმწიფო უმცროს მოსამსახურეთა ჯამაგირების გათანასწორების შესახებ. დაწესებულების გამგეებს უფლება ეძლევათ

პროვინციაში დაკმაყოფილონ მოსამსახურენი თანახმად იმ ნორმისა, რომელიც შემუშავებულია შრომის სამინისტროს მიერ უმცროს მოსამსახურეთათვის ჯამაგირის მისაცემად, თანხა იმ კრედიტებიდან უნდა გამოიტანონ, რომელიც გადადებულია პირად შემადგენლობის შესანახად, თუ კი ეს კრედიტები საკმარისი არ აღმოჩნდება, მაშინ დამატებითი თანხები უნდა გამოთხოვნილი იქნეს ფინანსთა მინისტრის მოხსენებით კანონმდებლობითი წესით.

ფოთის ნაკალსადენი.

1) მიენდოს გზათა მიმოსვლის დეპარტამენტს დაუყონებლივ შეუდგეს მუშაობას, ფოთის ნავთსადგურის წყალსადენის გადასაკეთებლად თანახმად იმ გეგმისა, რომელიც შეიმუშავა ფოთში ამისათვის საგანგებოდ გაგზავნილმა კომისიამ. მუშაობის მიმდინარეობის წესი ფოთის ქალაქის თვითმართველობასთან ერთად უნდა იქნეს გამომუშავებული. 2) უფლება დართოს გზათა მიმოსვლის დეპარტამენტს ამ დადგენილების სისრულეში მოსაყვანად.

გააგზავნოს დაუყონებლივ სათანადო ტეხნიკები და მუშები და მუშაობისათვის მათ ჯილდო დაუნიშნოს.

3) შესაფერ კრედიტების გახსნამდე ნება მიეცეს მომარაგების მინისტრს გზათა მიმოსვლის დეპარტამენტისადმი სესხის სახით 2 მილ. მან. მიცემისა.

საპყრობილეთა დარაჯების ფორმა.

8 ივნისის მთავრობის სხდომაზე იუსტიციის მინისტრმა გააკეთა მოხსენება, მის შესახებ, თუ როგორი ფორმა უნდა ჰქონდეს საპყრობილეთა დარაჯს. მთავრობამ დაადგინა, რომ საპყრობილეთა ნაწილებში მოსამსახურეების ფორმა უნდა იყოს მეტად სადა და მილიციონერთა ფორმას უნდა გვანდესო.

ცენტრალური განმანაწილებელი ორგანო.

მთავრობამ განიხილა სამხედრო მინისტრის მოხსენება სოციალურ დახმარების ფონდიდან სამხედრო სამინისტროს განკარგულებაში 4 მილ. მან. გაღების შესახებ დადგენილია: 1) მიეცეს სამხედრო მინისტრს სესხის სახით შრომის სამინისტროს განკარგულებაში მყოფ სოციალურ დახმარების ფონდიდან 3 მილ. მან., რომელიც უნდა გაანაწილოს დახმარების სახით იმ პირთა შორის, რომლებსაც თანახმად 1919 წ. 1 იანვ. და იმავე წლის 10 ივნისის კანონის ძალით ეს ერგებათ. მიგნდოს შრომის და სამხედრო მინისტრებს წარუდგინონ თავისი მოსაზრებანი ცენტრალურ განმანაწილებელ ორგანოს დაარსების შესახებ.

ერთდროული დახმარება მოსამსახურეებს.

10 ივნისის სხდომაზე მთავრობამ, მოისმინა რა მოხსენება სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეებისა და მუშებისადმი ერთდროულ დახმარების მიცემის შესახებ, დაადგინა: 1) სახელმწიფო დაწესებულებათა ყველა მოსამსახურე და მუშებს, ვისაც ეძლეოდა თვეში 3 ათასამდე—მიეცეს დახმარება თვიური ჯამაგირის რაოდენობით, ვისაც სამ ათასზე მეტი ქონდა მას 3000 მან. 2) მიენდოს შრომის სამინისტროს დამფ. კრებაში შესაფერი დეკრეტის წარმოდგენა, 3) მიენდოს შომარაგების სამინისტროს მიიღოს ყველა ზომა, რომ ამ თვის განმავლობაში მოსამსახურეებს და მუშებს გაუდიდონ ის რაციონი, რომელსაც ისინი ამ ჟამად იღებენ.

ფინანსთა სამინისტროში

ფულის ტრიალის რეფორმა.

12 ივნისს შედგა პირველი სხდომა კომისიისა, რომელსაც დავალებული აქვს ფულის ტრიალის საკითხი ჯეროვნად შეიმუშავოს და მოაწესრიგოს. ამ სხდომაზე მოსმენილი იქნა მინისტრის საბჭოს წევრის ე. კოზლოვსკის მოხსენება. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ძირითადი დეფექტი ქაღალდის ფულის ტრიალისა და გადახურდავებისა მდგომარეობს იმაში, რომ მისი კურსი თანდათან პროგრესიულად ეცემა ახალ გამოცემასთან ერთადო. ქაღალდის ფულის ზედმეტი გამოშვება საშინელ გავლენას ახდენს სასოფლო მეურნეობაზე, სადაც კაპიტალის ბრუნვა მეტად ძნელია. შემოდგომაზე ფულად ქცეული ნაყოფი გაზაფხულზე უკვე საგრძნობ საშუალებას აღარ იძლევა იმისათვის, რომ ახლად იქნეს დამუშავებული მამულები, ვინაიდან ფასები სასოფლო-სამეურნეო მასალებზე და მუშის ხელფასის მეორე მხრით ამ ხნის განმავლობაში დიდათ გაიზარდა. მაშინ, როდესაც მანეთის კურსი იცვლება, შეუძლებელია რომელიმე მეურნეობამ; ან წარმოებამ ხეირიანათ იარსებოს, ვინაიდან არ შეიძლება წარმოების ყველა ელემენტის გათვალისწინება. ამიტომ ვაჭრობა ასეთ შემთხვევებში სპეკულიაციად იქცევა. ქაღალდის ფულის მეურნეობის ასეთ პერიოდებში არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია ბიუჯეტის ნორმალური წარმოება, არ შეუძლია არც ეროობებს, არც ქალაქებს. შემდეგ მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ქაღალდის ფულს, რომელიც არ გადახურდავდება, არ შეუძლია გარეშე სახელმწიფოებთან საქონლის გაცვლა-გამოცვლის სამსახური გასწიოსო. ქაღალდის ფულის საზარალო მოვლენის მოსპობა შეიძლება მხოლოდ მისი კურსის განმტკიცებით, რისი მიღწევაც შეიძლება გიდაუხურდავებელ ფულის გამოცემის შეწყვეტით. მაგრამ ვინაიდან ხანდახან არ შეიძლება გვერდი აუხვიოთ ემისიას, ამიტომ უნდა გამოუშვათ ბონები, რომლებიც უცხო ვალიუტით იქნება უზრუნველყოფილი, მაგალითად გირვანქა სტერლინგებით. ამ ვალიუტის მიღება შეიძლება სავალიუტო საქონლის ექსპორტით. თუ ბონების ახალი გამოშვება გირვანქა სტერლინგებით იქნება უზრუნველყოფილი, მაშინ ბონის კურსი აღარ იქნება მერყევი, თვით შიგნით დაიბადება ერთგვარი ლტოლვა ძველი ბონების ახალ ბონებზე გადაცვლისა და ამ რიგად ეს ძველი ბონები განდევნილი იქნება ხმარებიდან ძალდაუტანებლივ. შემდეგში, როცა ფულს რეფორმის პირველი ფასი განხორციელდება, ინგლისის გირვანქა შეცვლილი იქნება ქართული ფულით, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება ოქროს ფონდით და ამგვარათ ფულის სისტემის რეფორმა სრულიად დასრულდება.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი.

ფინანსთა სამინისტროში საჩქაროდ მუშავდება სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის პროექტი, 1920—1921 საბიუჯეტო წლისა, რომელიც დაიწყება 1 ივნისს და დასრულდება 31 მაისს. სახელმწიფო ბიუჯეტი შედგენილი იქნება მთელი საბიუჯეტო წლის, ესე იგი 12 თვისა. ანგარიში ხარჯთ-აღრიცხვისა წლის ბოლოში დასრულდება.

შუამდგომლობა კრედიტების შესახებ.

ფინანსთა სამინისტრო დამფუძ. კრებაში შუამდგომლობით შევიდა მთავრობის განკარგულებაში 2,537,918,180 მან. მიცემის შესახებ, რომელიც სახელმწიფოს მიმდინარე მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად დასჭირდება, სახელდობრ პირველ ივნისიდან მიმდინარე საბიუჯეტო წლის პირველ სექტემბრამდე. ეს თანხა გამოანგარიშებულია იმ საბიუჯეტო ცნობების მიხედვით, რომელიც მიიღო მან სხვა და სხვა უწყებებიდან. ანგარიშის წარმოების დროს ფინანსთა სამინისტრო გამოდიოდა წლის ბიუჯეტის ერთი მეთორმეტე ნაწილიდან. ამას დაუმატა ის თანხები, რომელსაც ფინანსთა სამინისტრო თხოულობს სხვა და სხვა უწყებებისათვის დასარიგებლად: შეშის, ფურაჟის, სურსათის, შპალების და სხ. დასამზადებლად. ასეთი დამზადება ხდება ერთი წლისათვის 1921 წლის 1 ივნისამდის ფინანსთა სამინისტრო აღნიშნავს, რომ ასეთი სისტემა მიღებულია საერთოდ დასავლეთ ევროპაში, მაგალითად ბელგიაში და სხ.

დამფუძნებელი კრება

თავმჯდომარეობს **ე.ჭ. თაყაიშვილი.**

ჭკ. შარაშიძის ასულის მოხსენებით უკამათოდ მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტები დეკრეტებისა: გასატან საქონელზე დროებით ბაჟის შემოღების შესახებ და სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელ ექსპედიციის ახალ ბინაზე გადატანის და ამ ბინის გადაკეთებისათვის 5,080,354 მან. და 27 კაპ. გადადების შესახებ.

დეკრეტი თავდაცვის ფონდისათვის 400 მილ მან. გადადების შესახებ.

ნ. იმნაიშვილი მოახსენებს დამფუძნებელ კრებას, რომ ის სამასი მილიონი, რომელიც გადადებულ იქნა თავდაცვის ფონდისათვის ამოწურულია და საჭიროა დაუყონებლივ იქნას გაღებული 400 მილ. მანეთიო. წარმოდგენილი დეკრეტი მოწონებულია, როგორც სამხედრო აგრეთვე საფინანსო კომისიების მიერ, სახელმწიფო კანტროლის დასტურიც არისო. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ იმ დახარჯულ 300 მილ. მანეთის ანგარიშების ნუსხა წარმოდგენილია დამფუძნებელ კრებაშიო.

შ. ქარუმიძე აღნიშნავს, რომ ის მართალია, მომხრეა წარმოდგენილ დეკრეტისა, მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია მივაქციოთ ყურადღება ზოგიერთ დეფექტებს, რომ მომავალში აცდენილ იქნას იგიო. ორატორს არ მიაჩნია მიზანშეწონილად წარა-მარა მობილიზაციების მოხდენა. ეს აუარებელ ხარჯებს იწვევსო, საჭიროა ჯარის მუდმივათ მეტი რიცხვის ყოლა, რომ საჭიროებისამებრ არ დაგვჭირდეს ხალხის გაწვევაო. ჯარის რეორგანიზაციის გატარების დროს ამისათვის უნდა მიექციათ ყურადღება.

ორატორს დაუშვებლად მიაჩნია ის ფაქტი, რომ ამა თუ იმ ტეხნიკურ საქმეს, რომელიც ჯარის განსაკუთრებულ ნაწილების საქმეა, ასრულებს სულ სხვა უწყება. ეხება ორატორი კონტრა მზვერავთაც და აღნიშნავს, რომ ის მაინც და მაინც არ სდგას სათანადო სიმაღლეზეო. ეხება აგრეთვე ცხენოსანთა ჯარის სიმცირეს, სანაპირო რაზმებს, რომლებიც ორატორის აზრით, თავის პირდაპირ დანიშნულებას არ ასრულებენო. საჭიროა აგრეთვე კანტროლი თვალყურს ადევნებდეს, როგორ იხარჯება გადადებული ფულებიო.

ნ. რამიშვილი (შინ. საქ. მინ.) უპასუხებს შ. ქარუმიძეს და უმტკიცებს, რომ საკმარისი ჯარი გვყავს მშვიდობიანობის დროისათვის, მუდმივათ იმდენი ჯარის შენახვა, რომ ყველა ფრონტებს გასწვდეს ეს შეუძლებელია. იმპერიალისტურ მილიტარისტებმაც ვერ შექნეს ეს, და საზღვრების დაცვა ყოველთვის შეიარაღებულ ხალხს უხდება. ჯარების რეორგანიზაციამ, რომელიც უკვე გატარდა ცხოვრებაში დიდი ხანია კარგს შედეგს მიახწია. ამ რეორგანიზაციით დაცულ იქნა ერის ენერგია და თანხა. აქ შეეხენ ჯარის ნაწილების ტეხნიკურ მხარეს. ლაპარაკობდენ შესახებ იმისა, თუ რად დაეკისრა ფოსტა-ტელეგრაფის უწყებას ისეთი საქმის შესრულება, რომელიც ჯარის ნაწილებს უნდა გაეკეთებინათო. ყველგან, როდესაც გარეშე ძალა საფრთხეს უმზადებს ქვეყანას, მაშინ ყველა უწყებები ვალდებულნი არიან დაემორჩილონ თავდაცვითი საბჭოს. ასე იყო და არის ყველა სახელმწიფოებში. აქ იბადება კითხვა მიზან შეწონილია თუ არა, ასეთი მოვალეობის დაკისრება ფოსტა-ტელეგრაფის უწყებისადმი. ამ დაწესებულებას აკვს განსაკუთრებული შტატი და ვინაიდან საქმე საჩქაროა იყო დაევალა ფოსტა-ტელეგრაფის უწყებას სამხედრო საჭიროებისათვის ხაზის გაყვანა. მან ეს საჩქაროდ და ჩინებულად შეასრულა და ეს საკითხი სრულიადაც არ არის დაკავშირებული არც სამხედრო ვადასთან და არც ჯარის რიცხვთან. თქვენი წინადადება, რომ მიგვეღო და მეტი ჯარი გვყოლოდა მუდმივათ სულერთია მობილიზაციები მაინც დაგვჭირდებოდა. ქარუმიძის მტკიცება, რომ სახელდახელოთ მოხდენილი მობილიზაცია მეტ ენერგიას და თანხას მოითხოვს არ არის სიმართლე. ჩვენ სახელმწიფოს თავდაცვითი ინტერესებს უკავშირებთ აგრეთვე ჩვენი ქვეყნის მეურნეობასაც. და როგორ გგონიათ საუკეთესო ნაწილი მუშაკებისა მუდმივათ რომ ყაზარმებში ამყოფოთ ამით ჩვენი მეურნეობა განადგურდება თუ არა? ეს კარგად უნდა იცოდეს ყველამ, ვინც მარტო მილიტარისტული სულით არ არის გაჟღენთილი. ყველა ქვეყნის მილიტარისტები ჩვეულებრივად ასეთ ჰანგებზე მღერიან ხოლმე და თუმცა ჩვენ ქვეყნის საგარეო მდგომარეობას ეს არ შეეფერება, მაინც მღერიან ასეთ ჰანგებზე და მილიტარისტები სულს ერთგვარ მსხვერპლს სწირავენ. აქ ლაპარაკობდენ კონტრ-დამზვერავ ნაწილებზე. მე არ გამიკვირდება, რომ ნაციონალისტთა წარმომადგენელი ლაპარაკობდეს იმას, რასაც ქუჩაზე გაიძახიან. მე ვამბობ, რომ არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა ამ ომის დროს, რომ ჩვენ არ გვცოდნოდა, რომ მტერი ირაზმება და რა ადგილიდან აპირობს მოქმედების დაწყებას. რასაკვირველია ეს ყოველთვის იქნება, რომ თითო ოროლა პირი ვერ იდგება სათანადო სიმაღლეზე, მაგრამ საერთოდ ვალიარებთ, რომ დამზვერავი რაზმი ასრულებს თავის მოვალეობას პირნათლად: ცხენოსანთა რაზმის შესახებ. ორატორი ამტკიცებს, რომ შეუძლებელია ამ ცხენების სიმცირის დროს ასეთ რაზმების შედგენა. რაც შეეხება სანაპირო რაზმებს, ქარუმიძემ უნდა იცოდეს, რომ ასეთ ნაწილების მოვალეობას არ შეადგენს მარტო საზღვრების დაცვა. სად იქნება გაჩერებული ესა თუ ის სანაპირო რაზმი, ეს ტეხნიკური საქმეა, რაც შეეხება კანტროლის მუშაობას, უნდა აღვნიშნო, რომ სახელმწიფო კატროლმა იცის, სად მიდის და როგორ იხარჯება ეს თანხები და ვიდრე მოისურვებდით ამ საკითხის აქ გამოტანას შეეკითხებოდით კანტროლს იცის თუ არა, მან როგორ იხარჯება გადადებული თანხები და აღარ დაგჭირდებოდათ ასეთი გამოსვლები, რომელიც არ არის გამოწვეული თავდაცვითი საჭიროებით (ტაში).

ამავე საკითხის შესახებ ლაპარაკობს გრ. ვეშაპელი, რომელსაც პასუხი გასცეს გრ გიორგაძემ და მომხს. ნ. იმნაიშვილმა. კამათის დასრულების შემდეგ მუხლობრივათ განიხილეს დეკრეტი, რომელიც უკამათოდ იქნა მიღებული.

ბ. თევზაიას მოხსენებით მიღებულ იქნა უკამათოდ დეკრეტი სახელმწიფო დაწესებულების მუშა-მოსამსახურეთათვის ერთდროულ დიხმარების სახით თითო თვის ჯამაგირის მიცემის შესახებ, მხოლოდ არა უმეტეს 3 ათასი მანეთისა. ამ დეკრეტის განსახორციელებლად გაღებულ იქნება სახელმწიფო ხაზინიდან 90 მილ. მანეთი. შემდეგ ამისა დახურულ კრებაში განხილულ იქნა კანონ-პროექტი სამხედრო უწყების შტატისა დამტკიცების და ცვლილების შესახებ. ღია კარებში კანონ-პროექტი სამოქალაქო სამართლის წარმოების წესდების ზოგიერთ მუხ. შეცვლის შესახებ. დახურულ კრებაში: კანონ-პროექტი სამსახურის ვადის გადიდებისა სასწავლო მცირე გუნდში სწავლა დამთავრებულ ჯარისკაცთათვის; კანონ-პროექტი სახალხო გვარდიის შტატის დამატებისა და ცვლილების შესახებ.

ღია კარებში განიხილეს დეკრეტები: სააქციზო მოხელის დასაქირავებლად ხარჯის გაღებისა; საერობო გზების მოსამსახურეთათვის დამატებითი გასამრჯელოს მისაცემად 144,430 მან. გადადებისა.

ნ. იმნაიშვილის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი მუშა მოსამსახურეთათვის პირველ მოთხოვნილების საგნის მისაწოდებლათ მთავრობის განკარგულებაში 120.600,000 მან. გადადებისა.

დ. ონიაშვილს მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი ყარაიაზის სახელმწიფო მამულის მეორე განყოფილების სისტემის სარწყავის დასამთავრებლად 9.368,000 მან. გადადებისა.

გრ. გიორგაძე მოახსენებს დეკრეტს 3 მილ. მან. გადადებისა მიხეილ არამიანცისათვის ჩამორთმეულ სახლის ფასის ასანაზღაურებლად.

ამ დეკრეტმა გამოიწვია კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ი. ნუცუბიძემ, ა. ასათიანმა და მომხსენებელმა. დეკრეტი მიღებულ იქნა ხმის უმეტესობით. სხდომის დასასრულს მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტები თავდაცვის ფონდისათვის 400 მილ. მან. გადადების შესახებ და დეკრეტი სახელმწიფო დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეთათვის ერთ დროულ დახმარების სახით ერთი თვის ჯამაგირების მიცემის შესახებ.

ერობა

ერობის ანკეტა.

ერობათა კავშირის სტატისტიკურ განყოფილებასთან 11 ივნისს მოწვეულ იქნა სპეციალური თათბირი ერობის ტეხნიკურ ანკეტის საკითხის გასარჩევად. მომხსენებელმა ს. კონმა აღნიშნა, რომ ანკეტის მიზანს შეადგენს გამორკვევა: ერობის საწარმოო დაწესებულებათა მოქმედებისა, ერობათა საწყობების, არსებულ ერობათა შენობების, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღის გზების, ხიდების და ბოლოს იმის გამორკვევა, თუ როგორ საჭიროებს ერობები ყოველგვარ მასალასა და ინსტრუმენტებს. ამასთანავე ანკეტას ექნება უდიდესი მნიშვნელობა ერობის მეურნეობის მდგომარეობის გასაცნობად. თათბირის წევრმა, ინჟენერმა ქურდიანმა თავის მხრით ხაზი გაუსვა ანკეტის იმ მნიშვნელობას, რომ იგი გამოარკვევს, როგორც ერობათა მომარაგებას, ისე მათ ტეხნიკურ საშვალებათ. საკითხის განხილვის შემდეგ დაადგინეს ანკეტაში შეტანილ იქნეს საკითხები ერობის, როგორც საკუთარ, ისე დაქირავებულ შენობების შესახებ, რომლებიც დაკავებული აქვთ, ერობათა დაწესებულებებს, უნდა შეტანილ იქნეს აღწერილობა წყალსადენთა და აგრეთვე ყველა დაწესებულებათა და შენობათა, რომლებიც კი ერობებს ეკუთვნის. შემდეგ წინადადება შეიტანეს სპეციალურ ინჟენერის გაგზავნის შესახებ, რომელიც ყველა ერობებს შემოივლის და ანკეტის ფურცლებს შეავსებს. მაგრამ ამ თათბირის თავმჯდომარემ, სოლორაშვილმა, განმარტა, რომ ახლო დროში განზრახულია ერობათა დავლა ერობათა კავშირის კომიტეტის წევრის მიერ, რომელთან ერთად იქნება სტატიკურ, ინსტრუქტორთა და ბუჰალტერიის გან-

ოფილებების გამგენი. მაგრამ ერობათა კავშირის წარმომადგენლების გამგზავრებამდის საჭიროა საანკეტო ფურცლების დაგზავნა, რომ ერობებს საშუალება ექნეთ პასუხის მოცემისა.

ერობების საერთო საქმიანობა

ერობათა კავშირის ცნობებით ამ ჟამად საქართველოში 19 სამაზრო ერობა მოქმედებს. ამ მაზრაში ერობის მუშაობა უკვე წესიერად მიმდინარეობს. არ არის ერობა ახალქალაქის მაზრაში და გაგრის ოლქში. თითქმის ყველა ერობაში მოწყობილია თემები, ტფილისის მაზრაში 7 თემია მოწყობილი. სიღნიღის—26, თელავის—14, თიონეთის—5, დუშეთის—6, გორის—17, ქუთაისის—42, შორაპნის—27, რაჭის—19, ლეჩხუმის—24, ზუგდიდის—45, სენაკის—33, ოზურგეთის—33 და გუდაუთის—2.

გორის აღდგენა.

გორის ერობამ დაადგინა მონაწილეობა მიიღოს მიწისძვრისაგან დანგრეულ სოფლების გეგმების შემდგენ კომისიაში. უკვე დასახულია გეგმა. გამოჩენილ ადგილებზე აშენდება სკოლა, ბიბლიოთეკა, სამკითხველო, კოოპერატივი, სასოფლო გამგეობა, ეკლესია და სხვა საზოგადო დაწესებულება. უნდა აშენდეს სპეციალი შენობა სოფლის მცხოვრებთა ყრილობისათვის. გორის ერობამ გამოარკვია, რომ მაზრებში 29 დანგრეული სკოლაა. გადაწყდა დაუყონებლივ აღდგენილ იქნას სკოლები, რისთვისაც მთავრობას საჭირო დახმარებას სთხოვენ.

იტალიის საგენტოს ცნობები

16 ივნისი

ვარშავა. თანახმად ოფიციალურ ცნობებისა ჩრდილოეთ ბერეზინის ხაზზე სიწყნარეა, ჩერნოვიცას ფრონტზე ბოლშევიკების შეტევის მოსაგერებლად პოლონეთის ჯარები იკრიბება.

ინგლისის მიხიაში. ინგლისის საინფორმაციო ბიუროს გამგე 15 ივნისს საღამოთი ტფილისიდან წავიდა. მის წასვლასთან ერთად ინგლისის საინფორმაციო ბიუროს მუშაობა წყდება. წყდება აგრეთვე გაზეთ „ჯორჯიან მეილის“-ის გამოცემაც.

ბათომი. გამოქვეყნდა ინგლისის მთავრობის პირთა ბრძანება, რომელიც ინგლისის ჯარების გემში ჩასხმის შეჩერებას ეხება. ბარონ ვრანგელის წარმომადგენლები, რომლებიც წასვლას ფიქრობენ, რჩებიან ბათომში.

ბათომი. დრაცენკოს მოადგილედ, რომლებმაც კორპუსის უფროსობა მიიღო ვრანგელის წარმომადგენელად ბათომში გენ. გომილოვი დაინიშნა.

სევასტოპოლი. ვრანგელის რაზმების შეტევა გრძელდება. საგრძნობ გამარჯვებას მიაღწიეს პერეკოპის რაიონში. ოფიციალური ცნობის თანახმად წამოყვანილია 15000 ტყვე, წამოღებულია 100 ზარბაზანი, დიდძალი ტყვიისმფრქვეველები, ყუმბარები და პატრონები.. თანახმად ოფიციალურ ცნობისა ბერდინსკი და მარიუპოლი აღებულია. ხმები დადის ტაგანროგის აღების შესახებ.

არეულობა ინდოეთში. საბჭოთა გაზეთები გადმოგვცემენ, რომ ინდოეთში რევოლიუციონური მოძრაობა დაიწყო. ზოგიერთ ადგილებში მოხდა პოლიციასთან შეტაკება.

პარიზი. უნგრეთთან საზავო ხელშეკრულებას ვერსალში ხელს მოაწერენ 16 ივნისს.

ლონდონი. ზეებრიუგეში მყოფ ბრიტანეთის საამირბროს ბრძანებით 400 კაცამდის მუშაობს ზეებრიუგეში და ოსტენდეში დალუპულ გემთა ამოსაღებათ. ფიქრობენ, რომ 4 კრეისერი ამოღებული იქნება ოქტომბრამდისო. ერთ კრეისერის ივნისის დამლევამდის ამოიღებენ.

ლონონი. საერთაშორისო კომიტეტი, რომელსაც დავალებული აქვს ერთა ლიგასთან მუდმივი საერთაშორისო არბიტრაჟის დაარსება 16 ივნისს ჰაგის სასახლეში შეიკრიბება.

ლონდონი. ვაშინგტონის ხარჯთ-აღრიცხვითი მოსაზრებანი 1921 წელში გემების ასაშენებლად 87 მილიონ გირვანქა სტერლინგს უდრის. საზღვაო ავიაციის ხარჯთ-აღრიცხვა 4 მილიონ გირვანქას.

ბერლინი. მრეწველთა წრეებში ლაპარაკობენ გერმანიის რკ. გზის მოქმედების გაუმჯობესების შესახებ. ამ უკანასკნელ თვეში რკ. გზის მოძრაობა გერმანიაში იმდენათ გაუმჯობესდა, რომ უკვე ექსპრესები აამუშავეს. მატარებლები დანიშნულებისამებრ ძველებური სისწორით დადიან. საზავო ხელშეკრულების ძალით მოკავშირეებს გადაეცა 5.000 ორთქლმავალი. ეხლა პრუსიაში არის 33.000 ორთქლმავალი, ე. ი. 5.000 მეტი იმაზე, ვიდრე ომამდის იყო. მაგრამ ამ ორთქლმავალთა 50 პროც. ესაჭიროება შეკეთება, მაშინ, როდესაც ომამდის დაზიანებულ ორთქლმავალთა რიცხვი 20 პროც. არ აღემატებოდა. უკანასკნელ კვირაში რკ. გზებზე გამოუშვებს 80 ახალი ორთქლმავალი. ამასთანავე გაუმჯობესდა ნახშირის შოვა. თუმცა დღემდის კიდევ საგრძნობია ნახშირის კრიზისი და ამიტომ მაგარი სათბობი მასალის ხმარებაში მკაცრი ეკონომიაა დაცული.

კონსტანტინოპოლი. საბერძნეთის მთავრობა იმუშავებს საკითხს სალონიკი-კონსტანტინოპოლის რკ. გზის ყიდვის შესახებ.

ბერლინი. ბურჟუაზიულ - დემოკრატიული პრესა დიდი წინააღმდეგია გერმანიაში თავად-აზნაურების სახელწოდების მოსპობისა.

კონსტანტინეპოლი. პარიზიდან მოსულ დეპეშის თანახმად საფრანგეთში მეტად დიდი ეჭვები აქვთ იმაში, რომ კრუპის ქარხანა სამხედრო მასალის მზადებას განაგძობს.

პარიზი. 1920 წლის პირველი 4 თვის განმავლობაში საფრანგეთში შემოტანილ საქონლის ღირებულება 3 მილიარდს ფრანს აღემატება. გატანა ამავე ხნის განმავლობაში უდრის 4,500 მილიონ ფრანკს, ე- ი. 3 მილიარდით მეტია შემოტანილ საქონლის ღირებულებაზე.

უცხოეთი

რუმინია და საბჭოთა რუსეთი.

გაზეთ „ჟურნალ დე-ჟენევის“ გადმოცემით რუმინიაში იღებენ სამხედრო ზომებს, თუ ვინიცობაა საბჭოთა რუსეთმა გამოიღალაშქრა რუმინიაზე. ზოგიერთი რუმინიის გაზეთების ცნობით რუმინიის მინისტრთა საბჭოს თამჯდომარე ავერესკუ გამგზავრებულა ვარშავაში, იქ მყოფ პოლონეთის არმიის მთავარ სარდალთან პილსუდსკისთან სამხედრო კავშირის შესაკვრელად რუმინია-პოლონეთის შორის.

ამერიკის დემოკრატები და საზავო ხელშეკრულება.

ვილსონს წინადადება მიუცია დემოკრატების ლიდერებისთვის ორეგონის შტატში პრეზიდენტის არჩევნების დროს მიემხრონ ვერსალის ხელშეკრულებას და უარჰყონ სენატის შესწორებანი და მოთხოვნილებანი.

გერმანია და სოციალიზაცია.

გერმანიის საზოგადო ეკონომიის მინისტრს შმიდტს ერთ-ერთ „ფორვერსტის“ თანამშრომლისთვის განუცხადებია, რომ სოციალიზაცია, თავისი სრულს განსახიერებით, გერმანიაში ჯერ მოუხერხებელია. ვაჭ.-მრეწველობა ამისთვის მზად არაა. შეიძლება მოხდეს მხოლოდ ნაწილობრივი სოციალიზაცია.

კრუპის ქარხნები.

გაზეთ „ბერლინერ ტაგებლატტ“-ის გადმოცემით კრუპის ქარხნებში მომუშავეთა რიცხვი ისევ დღითი დღე ძლიერდება. ქარხნები ეხლა მუშაობენ მშვიდობიან ცხოვრების ხელის შესაწყობად. ამზადებენ უმთავრესად სარკინის გზო მასალას, გზების შესაკეთებლად და სხვა და სხვა პირველ საჭიროების საგნების მოთხოვნილების იარაღებს.

უკრაინა და პოლონეთი.

პოლონეთის არმიის მთავარ სარდალმა პილსუდსკიმ უკრაინის მცხოვრებლებს მოწოდებით მიმართა სადაც მთავარ-სარდალი აღუთქვამს უკრაინელებს, რომ პოლონეთის არმიის მიზანია უკრაინის ტერიტორია გასწმინდოს უცხო მოსულ ხალხისაგან, დაიცვას ეს ქვეყანა მტრის შემოსევისგან და პოლონეთის ჯარის-კაცნი დაბრუნდებიან უკან მაშინვე, როდესაც კი პოლონეთი შესძლებს თავის საკუთარ ტერიტორიაზე დაამკვიდროს თავისუფლება.

დეპეშები

(საქართვ. დეპეშათა სააგენტო)

მოსკოვი ივნ. 14. მოსკოვში მოვიდა დელეგაცია გერმანიის შრომის ორგანიზაციებისა, რომელთაც გადასახლება სურთ საბჭოთა რუსეთში. დელეგაცია წარმოადგენს მთელს რიგს გადასახლების მსურველთა კავშირებისას, რომლებიც წარსულ ზამთარში გერმანიის სხვა და სხვა ადგილებში შესდგა. გაერთიანდა 10,000 კაცი სხვა და სხვა პროფესიისა. მათ სურთ რუსეთში გადმოსახლება. მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატმა გამოიმუშავა გერმანიის გადმოსახლებელ დელეგაციასთან პირობები და წესრიგი სასოფლო სამეურნეო კოლონიზაციის საშუალებისა, როგორც ჩრდილოთისა, ისე საბჭოთა თითეულ მეურნეობისათვის და ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ რუსეთის არა მშრომელთა მიწების სარგებლობისა ამასთან ერთად თავდება მრეწველ მუშებისა და ტეხნიკურ ძალების კადრთა რუსეთში გადმოყვანაზე შეთანხმება შესდგა საგანგებო დელეგაცია მიწად-მოქმედების სახალხო კომიტეტისა, სასოფლო სამეურნეოსა და შრომის სახალხო კომიტეტის წარმომადგენელთან რომელიც ეხლა იგზავნება გერმანიაში რუსეთში გამოსაგზავნათ იმ პირთა, რომელნიც შეთანხმების პირობებს ეთანხმებიან. შეთანხმებას საფუძველად უდევს ორი პრინციპი: ყველა უნდა ეკუთვნოდეს მშრომელთა ოჯახს და ადგილზე დამკვიდრების შემდეგ ვალდებულია მიიღოს რუსეთის ქვეშევრდომობა.

მოსკოვი. ივნ. 15 სამხედრო ცნობა. კიევის რაიონში მტერი გადავდენეთ რა მდ. ირპენს იქით, ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს. დამატებითი ცნობებით კიევში და მახლობელ ადგილებში ხელში ჩავიგდეთ უგასაღებო 14 ზარბაზანი 12 ვაგონი ყუმბარა, 1 ვაგონი ტყვიებით. მტერმა დასწვა ჯავშნიანი ავტომობილი, ააფეთქა ყუმბარები და პატრონები. ჩვენი ჯარი მდ. ბუგზე გადმოვიდა და ქალ. ბრაცლავს უახლოვდება.

ფრანგული პრესა

კვირას პარიზში ალბანეთის გენერალი ესად-ფაშა ალბანელმა სტუდენტმა მოჰკლა. ჯიო-ლიტი კოალიციური სამინისტროს შედგენას ფიქრობს.

გერმანიის სახალხო პარტიის ლიდერმა გეინცემ, რადგან სოციალისტურ-მეუმრავლეებმა თანამშრომლობაზე უარი განაცხადეს, ამიტომ კაბინეტის შედგენაზე უარი განაცხადა.

პოლონელები კიევის ევაკუაციას ახდენენ და სრულის წესრიგით უკან იხევენ.

ანტვერპენში მოხდა მანიფისტაციები გერმანელების დაბრუნების წინააღმდეგ.

ხმები ჩრდილოეთ აფრიკის ადმინისტრაციის შეცვლის შესახებ სიმართლეს არ შეეფერება.

1920 წ. 30 მაისამდე გერმანიამ საფრანგეთს მისცა 5,682,042 ტონი ნახშირი. 70500 დაუთმეს ლიუქსენბურგს, 6,647 ცხენი, 40,720 ხარი, 67,476 (დამახინჯებულია(7,676 თხა.

შეერთებული შტატების სავაჭრო პალატის წარმომადგენელმა წარსულ წელში შეერთებულ შტატებში მყოფ ევროპიდან გაგზავნილ სხვა და სხვა მისიებს მუდმივ ორგანიზაციის პროექტის წინადადება მისცეს. ამ ორგანიზაციას მიზნათ ექნება საერთო კონტაქტის შექმნა. მისიის წევრებმა თავის მთავრობებს ამერიკის წინადადება გადასცეს და კადასწყვიტეს შეიკრიბონ პარიზში ამერიკის შეერთებულ შტატის წარმომადგენლებთან ერთად მომავალ საერთაშორისო სავაჭრო პალატის წესდების გამოსამუშავებლად. წინასწარ მომზადების ყრილობის დროს, რომელიც მაისში შესდგა, დელეგატებმა გამოიმუშავეს კონგრესის პროგრამა, რომელიც ამ თვის დამლევს პარიზში შესდგება. საერთაშორისო სავაჭრო .ალატის მოქმედების პროგრამა იტევს ფინანსიურ და პოლიტიკურ ყველა დიდ პრობლემას (დასასრული არ მიგვიღია).

ორშაბათს, ლონდონში შეიკრიბა ერთა ლიგის საბჭო სპარსეთის თხოვნის განსახილველად. ეს მიმართვა, რომელიც ეყრდნობა ხელშეკრულობის 11 და 17 მუხლებს ხალხთა ლიგის წევრებს იწვევს ჩაერიონ საქმეში და ბოლო მოუღონ ბოლშევიკების შეტევას. „პტი პარიზიენი“-ის ინფორმაციის თანახმად დელეგატებს გადაწყვეტილება არ გამოუტანიათ. ხვალ სპარსეთის დელეგატებსა და საფრანგეთის წარმომადგენელ ფლერიოს შორის საუბარი გაიმართება.

ირწმუნებიან რომ ერთი კვირის შემდეგ საფრანგეთში მოხდება ლოიდ ჯორჯისა და მილერანის შეხვედრა. ფოლკსტონის თათბირის შემდეგ საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობის მეთაურებმა გადასწყვიტეს კიდევ შეხვდენ ერთმანეს სპის კონფერენციამდე.

ლოიდ ჯორჯმა თემთა პალატას აუწყა, რომ სპის კონფერენციის დრო საბოლოოდ არ გადაწყვეტილა, მაგრამ 5 ივლისის თარიღი საფიქრებელიაო. წინასწარ თათბირი ინგლისისა და საფრანგეთის ელჩებს შორის შესდგება 2 ივლისს.

ბერლინიდან იუწყებიან: პრეზიდენტმა ებერტმა ტრინბონს წინადადება მისცა თავის თავზე კაბინეტის შედგენა აიღოსო.

ორშაბათს პარიზში გარდაიცვალა ცნობილი მსახიობი ჭალი რეჟანი.

1920 წლის სალონის ეროვნული ჯილდო მიიღო დარდმა ორი შედ.ვრის-“ლ-ეტ ერნელ-დულერ“-ისა (საუკონო ტანჯვა) და „კოლოსალურ ფავნის“ ავტორმა.

ახალი ამბები

წ.-კ. საზ. კრება. კვირას ივნისის 20, დილის 11 საათზე, ქართულ სამეურნეო ბანკის დარბაზში დანიშნულია საქართველოს რესპ. წ.-კ. გ. საზოგადოების რწუნებულთა წლიური მორიგი კრება. განსახილველი საგნები: 1) 1919 წლის გამგეობის მოქმედების ანგარიში; 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება გამგეობის მოქმედების შესახებ; 3) ინსტრუქცია წ.-კ. გ. საზ. წიგნთ-საცავიდან წიგნებისა და ხელთნაწერების სახლში გაცემისათვის; 4) 1920 წლ. შემოსავალ-გასავლის სავარაუდო ანგარიში და 5) წ.-კ. გ. საზ. ახალი წესდების პროექტი.

მიწის ძვრა გორში. გორში გახსნილმა სეისმიურმა სადგურმა აღნიშნა 29 მაისს დილის 5 საათზე 44 წუთსა და 20 წამზე მიწის ძვრა, სამხრეთ აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ-დასავლეთის მიმართულებით. შუა მაისის რიცხვებიდან აქამდე მიწის ძვრა არ ყოფილა.

აფხაზეთში. მიწათ-მოქმედების სამინისტროს ცნობით სოხუმის ოლქში ენერგიულად მუშაობენ აგრარულ რეფორმის გასატარებლად. საკონფისკაციო მიწების ნახევარი მოედანი უკვე მიღებულია. მიღებულია 14 კულტურული მამული. ამ მამულებში სამეურნეო ცხოვრება უკვე ეწყობა. ამ მამულების ნაწილის ექსპლოატაციას ახდენს სახელმწიფო, ნაწილი კი იჯარით არის გაცემული.

სოხუმის ოლქი. სოხუმის ოლქის რაიონში მუშაობა დაიწყო ტელეფონისა და ტელეგრაფის მოსაწყობად.

სატელეგრაფო ხაზის აღდგენა. ფოსტა ტელეგრაფის სამმართველოში ცნობები მოვიდა ჩსოუმდის სატელეგრაფო ხაზის აღდგენის შესახებ.

ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტი ყველას საყურადღებოთ აცხადებს, რომ კომიტეტი, ჯერჯერობით, ანგარიშების დასრულებამდის არავის ფულით ერთდროულ დახმარებას არ აძლევს. კომიტეტი სთხოვს ყველას, ყოველგვარ გაუგებრობის გამოსარკვევად მიმართოს კომიტეტს, სასახლეში.

სიმინდის გამოტანა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ წინადადება მისცა სამურზაყანოს ერობას, რომ მან ხელი არ შეუშალოს სიმინდის შეძენას და გამოზიდვას.

მესაქონლეობის კურსები. მიწათ-მოქმედების სამინისტრო ტფილისში 1 ივლისიდან ხსნის ორი თვის კურსებს: მესაქონლეობის, ვეტერინარიის და სარძევ-მეურნეობისა, რათა ამ დარგში ინსტრუქტორები მოამზადოს. კურსებზე საგნებს გაივლიან თეორიულად და პრაქტიკულად. წაიკითხავენ ლექციებს სპეციალისტები.

საბჭოთა წარმომადგენლების მოხვლა. სად. ყაზბეგის კომენდანტი დეპეშით აუწყებს შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ 15 ივნისს კავკავიდან ტფილისში მოდის. რუსეთის ფედერ. რესპ. წარმომადგენელიო,

პირველი ქართული ბუხჰალტერიის კურსები. სახალაო განათლების სამინისტროს ნებართვით დაარსებული პირველი ქართული ბუხჰალტერიის კურსები ალ. საათაშვილისა წელს დაამთავრეს შემდეგმა პირებმა: ქელბაქიანი ნ., შენგელია მ., ხამაშურიძის ასული ვ., შენგელიას ასული თ., ყუბანეიშვილი გ., გიორგობიანის ასული ი., ბოკერიას ასული შ., არდიშვილი მ., ფირალაშვილი ნ., კლდიაშვილის ასული ე., ბარქაიას ასული ნ., ანჩაბაძის ასული ზ., გველესიანი ყ., გიუნაშვილის ასული მ., ნოდია თ., დუნდუა ნ., გოდერძიშვილი ი., მაისურაძე ნ., კიკნაძის ასული ო., ჟღენტი ლ., ქინქლაძე ვ., შერაშენიძე ვ., ჩინჩალაძე მ., დუმბაძე ს., ბერიძე შ., გეწაძე გ., ჭაჯაია ა., გორგელაძის ასული ე., ამაშუკელი გ., მამალაძე ხ., ბორჩხაძე გ., ჭოველიძე ა., გალოგრემ ს., ბაკურაძის ასული ა., გალოგრემ ს., ჩაჩანიძე პ., ჩიგოგიძე ს.

წერა კითხვის საზოგადოება. წერა-კითხვის საზოგადოებამ უკანასკნელ ხანებში ძლიერ გააფორთოვა თავისი გამომცემლობითი მუშაობა. გამოსაცემათ დამზადებულია 110 მეტი სხვა და სხვა წიგნი, მათ რიცხვში ცნობილ ქართველ მწერალთა თხზულებანი, სახალხო საკითხავი წიგნები (ასტრანომიიდან და გეოგრაფიიდან) და აგრეთვე ყველა საგნების წიგნები.

სატრანსპორტო საქმე. საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოებამ გზათა დეპარტამენტის წინაშე აღძრა შუამდგომლობა რათა ქალაქის რკ. გზ. სადგური საზოგადოებას გადაეცეს. ამ სადგურზე ფიქრობენ არა მარტო სამგზავრო ბილეთების გაყიდვას, არამედ ბარგის გადაზიდვის საქმის მოწყობას. ფიქრობენ საქმის ფართოთ მოწყობას: გარდა

ჩვეულებრივი ოპერაციებისა, მოხდება აგრეთვე ბარგის დაზღვევა, შეხვევა, სადგურიდან შინ მიტანა, პირიქით და სხ.

ზაზოგადოების სააგენტო კანტორები. შავი ზღვის გემების სწორი ექსპლოატაციისათვის საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოებამ მოაწყო სააგენტო კანტორები, რომელიც აწარმოებს ბარგის შემოზიდვისა და გაზიდვის საქმეს. ეხლა საზოგადოების ნავები დადიან ბათომ-გაგრის შორის.

ფოთის ნავთსადგურში. ფოთის ნავთსადგურში სატრანსპორტო საზოგადოებამ მრავალი თვალსაჩინო საქმე გააკეთა. საშუალო მოლის სამხრეთ ნაპირზე დასრულდა საწყობთა დიდი შენობა და სააგენტოს კანტორის შენობა. ააშენეს საკუთარი პატარა ელინგი „შხუნების" ასაწევათ. უკვე ატანილია 4 შხუნა. მოკლე ხანში ჩაუშვებენ შეკეთებულ შხუნებს: „ქუთაისს", „ზუგდიდს", „ბათომსა" და „ცხენის-წყალს".

ტყის გაშენება ტფილისის გარშემო.

ტფილისის გარშემო მეტის მეტი ხრიოკი, გადამწვარი და უნუგეშო კლდეებია. ეს მკვდარი მიდამოები მხოლოთ იშვიათად ამწვანდება ხოლმე გაზაფხულობით ისიც აქა იქ; ზაფხულში-კი სრულიად ხმება და მზისაგან ძალზედ გახურებული ახურებს და ახშობს უიმისოთაც ცხელ და აუტანელ ტფილისის ჰაერს. ავდრის დროს კიდევ ეს ხრიოკი კლდეები თავის ლამით და ქვიშით ავსებს ტფილისის ქუჩებს და ამით მილიონობით ზარალს აძლევს ქალაქს. იმის გარდა, რომ ქვიშის გატანა უხდება ქალაქს, არა ნაკლებ აწუხებს ხოლმე მოქალაქეთ ის გარემოებაც, რომ ეს ჩამოტანილი ლამი და ქვიშა ხშირად აძნელებს ხოლმე ტრამვაის და ეტლების მოძრაობას. ამ მოვლენას ადგილი არ ექნებოდა, რომ ეს კლდეები ტყეებით ყოფილიყო შემოსილი, მაგრამ ტფილისის მიდამოების უტყეობა მარტო ამ ზარალის თვალსაზრისით არ უნდა განისაზღვროს.

ქალაქთან ახლოს მდებარე ტყეებს, დიდი ჰიგიენური მნიშვნელობა აქვს: ისინი იძლევიან სუფთა და ჯანმრთელობისათვის ფრიად სასარგებლო ჰაერს. ჰიგიენისტების აზრით ტყის ჰაერი, ოზონით გამდიდრებული, მეტის მეტი სასარგებლოა ყველასათვის, განსაკუთრებით ავათმყოფთათვის, ამით აიხსნება, რომ საუკეთესო სანატორიუმებს ტყეებში, ტყის ახლოს აშენებენ. აგრეთვე სამართლიანათ აწერენ ტყეს იმ თვისებას, რომ იგი უბრუნებს მუშაობისაგან დაღლილ და ქალაქში ცხოვრებით ნერვებ მოშლილ ადამიანს ჯანს, ღონეს და აძლევს მოსვენებას. ამიტომ გასაგებია ის ლტოლვა ტყისადმი, რომელსაც ამ ბოლო დროს იჩენენ ევროპიელები: მათი იდეალია ბინები ტყეების ახლო ააგონ ქალაქის მოშორებით.

ეხლანდელი საუკეთესო ქალაქები არ კმაყოფილდებიან პარკებით და სკვერებით. ისინი ცდილობენ ამის მაგიერ გააშენონ ბუნებრივი და დაბურული ტყეები. ვენამ, მაგალითად, ომის დაწყებამდე დიდი ფული გადასდო ქალაქის გარშემო ადგილების შესაძენათ, რომ ქალაქისათვის შემოერტყა დაბურული ტყის რგოლი.

ტყეს ქალაქთან ახლოს აქვს აგრეთვე დიდი ესტეტიური მნიშვნელობაც. მართლაც და ბუნებას ისე არაფერი არ ამშვენებს, როგორც ტყე, შემკული მთითა და მდინარეებით. ჩვენი ქვეყნის მრავალი სიტურფე მოშეტებულ შემთხვევაში უნდა მიეწეროს იმ მშვენიერ სურათებს, რომელსაც ტყე ქმნის თავის სხვა და სხვა ფორმით. მეორე მხრივ რა მოსაწყენი და უსიცოცხლო ხასიათი აქვს იმ ადგილებს, როგორც მაგალითად ჩვენი დედა ქალაქის გაშიშვლებული მიდამოებია.

კერძოთ ტფილისისათვის ტყეს იმდენათ მეტი მნიშვნელობა აქვს, რამდენათაც ტფილისის თბილი ჰავა ხელს უწყობს მოქალაქეთ წლის მეტი დრო ბუნების კალთაზედ გაატარონ და ტყის ჰაერით ისარგებლონ.

რასაკვირველია უკეთესი იქნებოდა, რომ ტფილისის მიდამოები ტყეებით იყოს შემოსილი, ეს ყველასათვის სასურველი და სანატრელია. მაგრამ იბადება კითხვა, შეიძლება თუ არა ტფილისის მიდამოების გაცოცხლება ტყეების გაშენებით. ტყუილად ხომ არ ჩაივლის შრომა და ხარჯი, რომელიც დასჭირდება აქ ტყეების გაშენებას? სანამ შეუდგებოდეთ სადმე ტყეების გაშენებას საჭიროა გამოვაკვლიოდ ორი გარემოება—პირველი—იყო თუ არა უწინ ამ ადგილებში ტყეები და მეორე—გვაქს თუ არა ხელთ ცდა, ან საბუთები, რომელნიც გვიჩვენებენ, რომ ტყეების გაშენება შესაძლებელია ამა თუ იმ ადგილას.

უტყუარი ისტორიული ცნობები გვარწმუნებენ, რომ ტფილისის მიდამოები ოდესმე დაბურულ ტყეებით ყოფილა შემოსილი. თურმე დიდ ხანს არ გაუვლია მას აქეთ რაც აქ ტყეები მოისპო. მეთვრამეტე საუკუნის გუჯარში, მაგ., მოხსენებულია, მცხეთის სობოროს ეკუთნის ავლაბარი თავის ტყეებითო. მეცხრამეტე საუკუნის დაწყებისას ტფილისს თურმე ჯერ კიდევ კარგი ტყეები ჰქონია: მთაწმინდა ტყეებით ყოფილა დაბურული, საცა ქალაქს შეშა და ფიჩხი უჭრია. ეს ისტორიული ფაქტები ბევრს რასმეს გვეუბნება. ჩვენ დანამდვილებით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ იმ ადგილებში საცა წინათ ბუნებრივი ტყე ყოფილა და აწ სრულიათ მოსპობილია, არამც თუ შესაძლებელია ხელოვნურათ ისევ ტყის გაშენება, არამეთ, თუ კაცმა ბუნებას ხელი არ შეუშალა, თვით ბუნება დაიბრუნებს პირვანდელ სურათს,—მოსპობილი ტყის ადგილები კვლავ ტყითვე შეიმოსება. ამის დასამტკიცებელ საბუთებს ტფილისის არე მარე ბევრს იძლევა. ამ ოცი წლის წინათ ტფილისის სამხრეთით დაარსდა სამთო-საკულტურო სატყეო „ლესნიჩესტვო", რომელშიაც შევიდა თელეთისა და მამა დავითის მთები. აქ არამც თუ ტყის ხსენება აღარსად იყო, თვით ჯაგებიც კი ამოვარდნილი იყო საქონლისაგან. როცა ეს ადგილები შეიკრა აქა იქ გაჩნდა ბუჩქები და ჯაგები; ეს ნამდვილი ტყის მორბედნი—პიონერები. თანდათან—შეიმოსა ჯაგნარით ღრმა-ღელეები და შემდეგში სხვა ადგილებიც. ეხლა უკვე შეხვდებით რცხილას, მუხას და სხვა და სხ. ტყის ჯიშებს, ალბათ ამგვარად. ტყემ აქ გაიღვიძა.

პროფესორი ხ. **ქურდიანი.**

(დასასრული იქნება).

ფრონტისათვის

საჩუქრები.

დღეს, დარიალის ხეობაში მდგომ მეომართათვის ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტი გზავნის საჩუქრების ტრანსპორტს, ხოლო 20 ივნისს, წნორის წყლის მიმართულებით იგზავნება დიდი ტრანსპორტი საჩუქრებისა იქ მყოფ ჯარებისათვის, რომელსაც გზავნის: მთავარი კომიტეტი, ტფილისის პროლეტარიატი და ვაჭრობა-მრეწველობის პალატა.

მთავარი კომიტეტის დავალებით ქუთაისის განყოფილებამ საჩუქრები გაუგზავნა მეომართ გაგრისა და მამისონის მიმართულებით.

მთავარმა კომიტეტმა მიიწვია კომიტეტის წევრებათ თითო წარმომადგენელი პროფესიონალური კავშირებიდან, ვაჭარ-მრეწველთა პალატიდან, გვარდიის მთავარ შტაბიდან, ჯარისაგან და დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიიდან.

მთავარი კომიტეტის სრული შედგენილობის სხდომა დანიშნულია კვირას, 20 ივნისს, დილის 11 საათზე, სასახლეში, ფრიად მნიშვნელოვან საკითხების გადასაწყვეტად.

ახალციხის მიმართულებით საჩუქრების დასარიგებლად წასული კომისია დაბრუნდა, რომელმაც შეასრულა, მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა, თავისი დანიშნულება.

მთავარ კომიტეტს პროვინციებიდან მოსდის შემოწირულებები ფულითა და ნივთებით.

სატარიფო პალატაში.

სატარიფო პალატამ ყველა დამქირავებელთ და მათ ორგანიზაციებს, ერობისა და ქალაქის გამგეობებს, მუშათა კავშირებს, კომისრებს და შრომის სამინისტროს რწმუნებულებს შემდეგი აცნობა:

სატარიფო პალატის 1920 წ. ივნისის 12-ს სხდომის დადგენილებით ვალდებულია ყველა დამქირავებელი დაუყონებლივ მისცეს ყველა მუშა-მოსამსახურეს ერთდროული დახმარების სახით ერთი თვის ჯამაგირი მაგრამ არა უმეტეს 3.000 მან. თითოს. აღნიშნულ დახმარებიდან არაფერი არ უნდა გამოექვითოს მიმღებს.

სატარიფო პალატის თავმჯდომარე **ი. გოლდმანი.**

ფილიციაში

— 14 ივნისს სისხლ. სამ. მილიციამ შეიპყრო და დააპატიმრა კლიმენტი ვ. ბოკერია, რომელიც თავის თავს უწოდებდა საქართველოს რესპუბლიკის საომარ ფლოტილიის მეხანიკს. გამოირკვა, რომ ბოკერიას მიუყიდია არა არსებული მანქანა „ბოლინდური" ინჟ. როსტომ დიმიტრის ძე ყაზბეგისთვის 240.000 მან., ვისგანაც მიიღო საწინდარი 10.000 მან., აგრეთვე ალექსანდრე ყაზარის ძე აგასოვს მიყიდა არა არსებული მამოძრავი „ეკონომია" 175,000 მან. და მიიღო საწინდრათ 50.000 მან., რის შემდეგ მიიმალა. ამ ნივთების გაყიდვის დროს ბოკერიას ყალბი საბუთებით უსარგებლია.

— საპატიმროებიდან ყალბ საბუთებით ტყვეების გაქცევის გამო, იუსტიციის სამინისტროს დირექტორის გ. ჟორდანიას განკარგულებით მილიციის უფროსმა ბ. ფაჩულიამ გაჩხრიკა ყველა სახელოსნოები სადაც ბეჭდებს და შტემპელებს აკეთებენ. სახელოსნოებში ყოველგვარი ბეჭდები და შტემპელები აღმოჩნდა ქართულ და რუსულ ენაზე. ხელოსნებს ჩამოერთვათ ხელწერილი, რათა მათ არა შემთხვევაში არ მიიღონ შეკვეთილი თუ დაწესებულება ოფიციალურათ არ აცნობებს ამის შესახებ.

— სისხლ. სამ. მილიციის უფროსის განკარგულებით ქუთაისში შეიპყრეს და ტფილისში ციხეში მოსათავსებლათ გამოგზავნეს სტუდენტი სიმონ ნიკოლოზის ძე კაკულია, რომელსაც ბრალათ ედება საქართვ. რკ. გზ. სასურსათო განყოფილებიდან ყალბ ჩეკებით პურის მიღება. კაკულიამ განაცხადა, რომ მას ყველა დაწესებულებებში უთხოვია სამსახური, მაგრამ არსათ მიუღიათ. მან, სიღარიბეში და სასოწარკვეთილებაში მყოფმა მიმართა ასეთ საშვალებას.

განცხადებანი

მიწად-მოქმედების სამინისტროს

გადასახლების განყოფილება

აცხადებს ყველა კერძო პირთა, საზოგადოებრივ და სახელმწიფო დაწესებულებათა საყურადღებოდ, რომ ყოფილი განყოფილების აგენტი ალექსანდრე ივანეს ძე კოზმავა ამ თანამდებობაზედ აღარ არის და განყოფილების მიერ მიცემული მოწმობა 1919 წლის 16 ენკენისთვის თარიღით № 409 გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 647 3—2

დაიკარგა საოჯახო პასპორტი № 204, მიღებული ახალციხის მდებიო მოქალაქეთა სამართველოდან; მეტრიკული ამონაწერი, სარეგისტრაციო ამონაწერი № 84, მიღებული ტფ. ქალაქის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან, იაკოფ მიხეილის ძე გოკიელოვის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს 1468 3-2

დაიკარგა ატესტატი, მიცემული ოზურგეთის საქსოვ სახელოსნოდან ეკატერინე (ქეთევან) ვლადიმერის ასულის რამიშვილის სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1503 3—1

დაიკარგა პასპორტი ენოქ ამბარცუმოვის ძე მიკირტიჩიანცის სახელზე, მიღებული ჯალალ ოღლის სოფლის სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1463 3—1

დაიკარგა პასპორტი რებეკა შეფსელის ასული რეიზნერის სახელზე, მიღებული ბაქოში, გაუქმებულად ჩაითვალოს. 1467 3—1

დაიკარგა პასპორტი № 145 გაცემული ფოთის მდებიო მოქალაქეთა სამმართველოდან, გრიგოლ ლევანის ძე გუნიას სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1473 3-1

დაიკარგა ტფილისის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის კანცელარიის მიერ გაცემული მოწმობა № 77 არუთინ მეჟლუმის ძე ოგანოვის სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1474 3—1

დაიკარგა ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსის მიერ 1903 წ. მარტის 3 დამტკიცებული საჯარო ვაჭრობის საბუთი № 509 ზაქარია პეტრეს-ძე მიქაძის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1483 3—2

დაიკარგა პასპორტი ლუკა მარკოზის ძე ბოცვაძის სახელზე, მიღებული ს. გამოჩინებულის საზოგადოების სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1464 3—1

მაქსიმე პავლეს ძე გიგაია აცხადებს, რომ მან ღაჰკარგა დროებითი პასპორტი მიცემული ქ. ტფილისის მე-უბნის სამილიციო სამმართველოდან, 23-ით გაუქმებულად ჩაითვალოს. 1421 3—3

დაიკარგა უვადო პასპორტი ევდოკია კუზმას ასულის ვოლკოვას სახელზე, მიღებული გორის მაზრის სამართველოდან 1919 წელს ოქტომბრის 25. გაუქმებულად ჩაითვლება. 1385 3—3

რუსეთის სატრანსპორტო და დამზღვევ საზოგადოების ტფილისის კანტორა აცხადებს, რომ ამა წლის ივნისის ოცს, დილის ათს საათზე (ეგზარხის მოედანი, მანთაშევის სახლი) დანიშნულია საჯარო ვაჭრობა მოუთხოვნელ საქონელზე, რომელიც მიღებულია ნიჟნი-ნოვგოროდში გასაგზავნად ტფილისის კანტორის კვიტანციით № 6528639, საქონელი შეიცავს 94 ტომარა ცხვრის ტყავს, გაუკეთებელს მშრალს. საქონლის დათვალიერება შეიძლება 15 ივნისიდან ყოველ დღე 10—1 საათამდე. 1414 3—3

ტყავისა და ნაბდის დამზადებელი საააქციო საზოგადოება

კავკასიაში ა. ზარგარიანცი და ვარტაზარიანცი ამით აცხადებს, რომ ამა წლის 3 ივლისს დღის 11 საათზე შესდგება

აქციონერების საზოგადო კრება

კანტორის ბინაზე ველიამინოვის ქუჩა № 22. დღის წესრიგი. გადათვალიერება და დამტკიცება ხარჯთ-აღრიცხვისა და მომავალ ნახევარ წლისთვის სამოქმედო გეგმა. 2. მიმდინარე საკითხები. 1512 1—1

კავკასიაში ტყავისა და ჩულის წარმოების ბ. გ. ადელხანოვის ააქციონერო საზ. გამგეობა

ამით აცხადებს აქციონერთა საყურადღებოთ, რომ მიმდინარე წლის ივლისის 4-ს დღის 12 საათზე, ტფილისის ვაჭართა ბანკის ბინაზე (თავისუფლ. მოედანი 3) დანიშნულია ბ. ბ. აქციონერთა

მეორე წლიური საზოგადო კრება

რომელიც არ შესდგა 13 ივნისს, წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო. განსახილველი საგნები: 1. გამგეობისა და სარევიზიო კომისიის მოხსენებანი.

2. საზოგადოების 1919 საოპერაციო წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება და მოგების განაწილება.

3. საზოგადოების 1920 წლ. მოქმედების გეგმისა და ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და-დამტკიცება.

4. გამგეობის ერთი წევრის არჩევა იმის მაგიერ, რომელიც გამგეობიდან გამოდის, და გამგეობის წევრთა სამი კანდიდატის არჩევა.

5. არჩევა სარევიზიო კომისიის ხუთი წევრისა 1920 წლისთვის.

6. მიმდინარე საკითხები.

ბანკის პირველი გამოცემის ნამდვილი აქციები (№№ 1—6000). რომლებიც ხმის უფლებას აძლევენ საზოგადო კრებაზე, უნდა წარედგინოს საზოგადოების გამგეობას არა უგვიანეს 7 დღისა საზოგადო კრებამდე, რათა მათი პატრონების სახელი და გვარი იქნეს შეტანილი აქციონერთა სიაში. აქციების მაგივრად შეიძლება წარედგინოს გამგეობას იმავე ვადაში, მოწმობები აქციების დაწვრილებით აღნიშვნით, მიღებული სახელმწიფო და კერძო საკრედიტო დაწესებულებებიდან, სადაც ინახება ან დაგირავებულია აქციები. მეორე და მესამე გამოცემის დროებითი მოწმობების წარმოდგენა საჭირო არ არის, რადგან ეს მოწმობები, როგორც სახელობითი, აღნიშნულია ბანკის წიგნებში. აქციები, ან მათი მაგიერი მოწმობები მიიღება ყოველ დღე გარდა უქმისა საზოგადოების მთავარ კანტორაში ვორონცოვის ქ., საკუთარი სახლი, ან ტფილისის ვაჭართა ბანკში და მათი მიღების ვადა თავდება ამა წლის მაისის 29-ს. დღის 1 საათზე

თანახმად წესდების 58 მუხლისა, დანიშნული კრება, როგორც განმეორებითი, კანონიერათ ჩაითვლება, მიუხედავად დამსწრე წევრთა რაოდენობისა. 648 1—1